# სახალხო გაზეთი

№ 982 კვირა, 1 სექტემბერი 1913 № 982

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ-გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.**
**ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



ტფილისი


კვირას, პირველ სექტემბერს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**ეგნატე მაკარის ძის ხრამელაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მისი **ქვრივი დარია გიორგის ასული, და მისი სოფიო მაკარის ასული ხუციშვილისა** და სიძე მისი **გიორგი აბრამის ძე ხუციშვილი.** წირვა დაიწყება 9 ნახევ. საათზე, შემდეგ წირვისა პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე. 1454

---

ივლიტე ადამის ასული ფორაქიშვილისა იუწყება, რომ

**სოფიო სოლომონის ასული კულიკოვსკაია**

გარდაიცვალა 29 ამა აგვისტოს. პანაშვიდები სალ მოს 7 საათზე. ოლღას ქუჩა, 39. დასაფლავება დანიშნულია 1 სექტემბერს. მიცვალებულს გამოასვენებენ დილის 9 საათზე, თავის ბინიდან დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა მოხდება იქვე. 592.

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლთან**
არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი

## წრის გამგეობა

მოუწოდებს ყველას, ვისაც სცენაზე თამაშობის უნარი აქვს, განაცხადოს თავისი სურვილი და მიიღონ მონაწილეობა წრის 1913—4 წ. სეზონის წარმოდგენებში. ამისათვის **ვთხოვთ მოელაპარაკოთ ნ. ჭანკვეტაძეს წრის ბინაზე** მიხეილის ქუჩა № 102. კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 11-1 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 1449

---

## გორის კერძო საქალებო პროფესიონალურ სკოლაში

**მოწაფეთა მიღება დაიწყო**

მოწაფე მიიღება არა ნაკლებ 13 წლისა,

დაწვრილებით პირობების გაგება შეიძლება პირადად და წერილობით გამგე **ელენე თარხან-მოურავოვის ასულთან.** 1445

---

## ახალი წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელისა**

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

## უდიდესი წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოთ.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თოკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოვი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძი-ძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

---

**12 დ ღ ი თ**

## იაროსლავის მაღაზიაში

**ძ. ს. ძ**

# დოროფეევისა

მიხეილის პრ. კირკის გვერდით, ტელეფონი № 838. რადგან ეხლანდელ ბინას ვცვლითა ვცვლი სამი სექტემბრიდან დანიშნულია

## დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა

**ყველა განყოფილების საქონლისა**

აბრეშუმისა და შალის ქსოვილების, მატყლეულობის, დრაპის და ტრიკოსი, პირსახოცისა და სასუფრე თეთრეულისა, თერძი ბამბის ქსოვილების; შეკერილი ტანისამოსი ქალთა და კაცთათვის, წინდები და სხვა და სხვა ნაქსოვი, ფარდები,

**ხალიჩები, საბნები, ცხვირსახოცები**

## ძლიერ ფასს დაკლებით

ამასთან ზოგიერთი საქონელი სულ მუქთად-იაფად გაიყიდება

## აუარებელი დარჩენილი საქონელი.

იაფობის დროს მაღაზია გაიღება დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. და 4 ს. 6½ ს. საღამოთი

**ორშაბათს,** საქონლის იაფად გასამზადებლად მუშაობის გამო, მაღაზია დაკეტილი იქნება. 1457.

**12 დ ღ ი თ**

12 დ ღ ი თ

12 დ ღ ი თ

---



**პირველ-ხარისხოვანი**

## დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 1 სექტემბერს, 1913 წ. გაიმართება**

## ორი დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

მსოფლიო ატრაქციონერების მონაწილეობით. დღისით ხელმისაწვდომ ფასებში ბავშვთა და მოწაფეთათვის გაიმართება მრავალ-ფეროვანი წარმოდგენა გამოჩენილ არტისტთა მონაწილეობით დღისით ბავშვებისთვის უფასოდ ცხენებზე და ვირებზე ჯირითობა. დღისით დირექცია იწვევს უფასოდ თავშესაფარიდან ბავშვებს. დღისით წარმოდგენა დაიწყება 2 ს. 30 წ. საღამოთი გრანდიოზული დღესასწაული მხიარულებისა მსოფლიო ატრაქციონერების მონაწილეობით. საცირკო ხელოვნების უკანასკნელი ამბავი. ცნობილი მეფეები ჰაერისა „ოთხი ეშმაკი" ცოტა ხნით დარჩებიან და დღეს შეასრულებენ ფრიად საშიშარ ნომრების მთელ რიგს ცირკის თაღში. გამოვლენ სიცილ-ხარხარის ამტეხნი **ძმ. ვიჩენცოები.** გამოვა აგრეთვე შეუდარებელი ჯამბაზი **რობერტსი** თავისი მოსაუბრე ვირით და მათემატიკოს ძაღლით. გამოსვლა საქვეყნოდ ცნობილის იტალიელ აკრობატებისა „სიკვდილის ფიცრისაგან" **დელლა კაზოსი.** ხალ-ახალი ნომრები. მოქნილობა და ხილამაზე. გამოვლენ ზღვის ჯამბაზები „სიკვდილის კიბით" ელა და კარპი, გამოვა მესარტალ მარტალე ცხენზე **ჟოზეფი.** პოპულიალური ამუსიკის ექსცენტრიკები **ბ. ბროკარსის** ასაფეთქებელ ავტომობილზე. საღამოს წარმოდგენა დაიწყება 8 ს. 30 წ.

**დ ა ს ა წ ყ ი ს ი საღამოს 8 ნახევ. საათზე.**

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 585. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

---

## განქორწინების საქმეებს ვაწარმოებ

ცოდნით, კეთილსინიდისიერად და დაწვრილებით, დარიგებას ვაწვდი, აგრეთვე შემდეგ საქმეების შესახებ: **შვილობილობისა და დაკანონებისა, პენსიისა, ერთდროულ დახმარებისა, საპატიო მოქალაქისა და აზნაურობის უპირატესობათა შუამდგომლობას,** ვადგენ სხვა და სხვა ხასიათის თხოვნებსა და საქმის ქაღალდებს, ვკისრულობ **საბეჭდავ მანქანით გადაწერვას.** მიღება ყოველ დღე დილის 10-დან 2 ს.-დე და საღამოს 5-დან 7 ს.-დე.

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. 118, პირველ სართულში. 1438

---

**სექტემბრის პირველ რიცხვებიდან**

## ქართველ ქალთა ამხან. სამკერვალოში

ახლად მოწვეული **მკერვალი-ქალი,** რომელმაც კარგად იცის თავისი ხელობა, **მიიღებს შესაკერად ქალთა და ბავშვთა კაბებს** ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასებში. **სწავლა ქალთა სახელოსნო სკოლაში** დაიწყება 5 სექტემბერს, გაბაახთ ქუჩა, № 3. 589

---

## ბაქოს ქართული სკოლა

ამით აცხადებს, რომ

**თავისუფალი ვაკანსიები არის ყველა ოთხ განყოფილებაში;**

მსურველთ უნდა მიმართონ **სკოლის გამგეს** ქართულ სკოლის შენობაში (ბირჟის ქუჩა, საკუთარი სახლი). **სწავლა უსასყიდლოა.** 1450

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

**ბოგუცკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**თაყაიშვილი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ექ. ქალ. იოხელიანი.** ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ლიმონი.** კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

**ხანდამოვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**აბულაძიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

**შამაში.** სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

**ვატენიანცი**—ყელ., ყურ. და ცხვირ, ყოველ დღე 3—3½ ს.

**ატენიანცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ასპისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ.ხ. საათ.

**ნოვიცკი.** ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wassermann"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

---

**დოქტორი მედიცინისა**

## გ. ა. ახვერდოვი,

**პეტერბურგის** სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 12—1 ს., საღ. 6—8 ს. **სემიონოვის ქ**, № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 159

---

## ახალი კლუბი

დღეს, 1 სექტემბერს,

## 1) საბავშვო საღამო

ა) სინემატოგრაფი ბავშვთათვის, ბ) თამაშობა და ცეკვა. სტუმართა ბავშვები გადაიხდიან 15 კ. დასაწყ. საღ. 5 ს., დას სრულ. 9 ს.

## 2) საოჯახო საღამო,

სინემატოგრაფი და ცეკვა. სტუმარი კაცი იხდის 1 მ., ქალი 50 კ., სტუდენტი 25 კ. 3) **საზოგადო კრება.** 1431

---

**8 კლასიანი საკომერციო სასწავლებელი**

## ლ. ფ. პეტრაშევსკაისი.

მიხეილის პროს. № 170.

მთავრობის სასწავლებლებთან სწორ უფლებიანი, წარმოადგენს საშუალო სასწავლებელს, რომელშიაც მოწაფენი იღებენ კანონიერ საშუალო განათლებას. სასწავლებელიდან მიცემულ ატესტატებით აქვთ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება; ღირსეულნი დაჯილდოვებულნი იქნებიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით. 15 აგვისტოდან დაიწყება მიღება მოსამზადებელ, 1, 2, 3 და 4 კლასებში. გამოცდა 25 აგვისტოდან ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღ. 2 საათამდე. 563

---

## საბავშვო ბაღი

## ანასტასია გედევანიშვილისა

ამით აცხადებს, რომ **ბავშვების ჩაწერა** შეიძლება ყოველ დღე **1 სექტემბრიდან** 10 საათიდან 12 საათამდე საბავშვო ბაღის სადგომში (სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. 1455

---

## ტფ. ქართული ფილარმონიული საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან** ყოველ დღე კვირა-უქმის გარდა, დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამ. 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სპეციალურ საგნებზე მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—**ბ. მ. ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, გ. მ. ქიქოძე, ე. ვ. ფოგელისა** და **თ. ს. შაბუროვისა** სკრიპკაზე: **მ. ტ. ვასილიევი.** ვიოლონჩელი —**ე. ნ. კაპელნიცკი.** კონტრაბასი—**მ. ი. შერშთვი,** სიმღერა, solo (ხმის დაყენება და გავარჯიშება და ოპერების შესწავლა) **ნ. ნ. სოლოვიოვა-სტრახოვა** და **ე. ბროჯი.** ელემენტ. თეორია, სოლფეჯიო (ნოტების კითხვა) ჰარმონია და ენციკლოპედია—**ზაქ. პ. ფალიაშვილი,** ხორის კლასსი—**ზ. ი. ჩხიკვაძე.** ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად: ფორტეპიანოზე **ე. ი. პოლტარაცკისა** და სკრიპკაზე,—**ვ. მ. ბროდსკი.** სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი 65 მ. წელიწადში, სკრიპკა,—65 და 75 მან. ვიოლონჩელი 65 მ. კონტრაბასი 50 მ., სიმღერა (solo) 75 მ. თეორიის კლასებში 15 მ. წელიწადში.

სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარ წლობით წინდაწინ. ხმების გასინჯვა საეკლესიო გუნდში შესასვლელად დანიშნულია ორშაბ. და ხუთშაბათ. საღ. 5—7 ს. **პარაკლისი და სწავლის დაწყება** დანიშ. 1 სექტემ., შუადღ. 12½ ს. 1429

ეროვნული ბიბლიოთეკა


# მყიდველთა საყურადღებოდ!

ახალი მოდის სამანუფაქტურო მაღაზიაში პაემბით ამხანაგობის

# „ს. მ. კირაკოზოვისა და გ. გ. ოგანოვისა“

მიხეილის პროსპექტი, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.

ამა წლის 26 აგვისტოდან დანიშნულია

# დიდი იაფ-ფასიანი გაჭრობა

ყველა იმ საქონლისა, რომელიც მაღაზიაში იმყოფება. ფასები დანიშნულია გადაჭრით. 1439.



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ხ. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ზ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ითხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

## წამლობა „606“-ით

1035

ელექტრონის და რენტგენის სამკურნალო

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1028

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 546

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა ღ კანის ავადმყ.; გასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

## ექიმი ი. ზ. ბძელიშვილი

სწამლობს შინაგან, თვალისა და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., საღამოს 5—7 ს. 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გასაჩერებელთან, მისიონერთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 588


## ხარქაქაი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „დენი“ სწუხს იმის გამო, რომ რუსეთი მუდამ ერთსა და იმავე მოჯადოებელ წრეში ბრუნავს და იქიდან ვერ გასულა. გაჩნდება ხოლერა ან სხვა სენი და...

„სახელდახელოდ მიიღებენ ადმინისტრატიულ—სასანიტარო ზომებს, თავისი სიმკაცრით ადგილობრივ მცხოვრებთა ცხოვრებაში დიდს აურზაურს გამოიწვევენ და ეს კი თავის-თავად ამცირებს ორგანიზმში სენის წინააღმდეგობას. გაივლის მწვავე დრო, გათავდება გაძლიერებულ სანიტარულ ზომების ხანა, შემცირდეაა პოლიციელების ოქმები და ცხოვრება ისევ თავის კალაპოტში დგება... ისევ შეგროვდება ჭუჭყი, ისევ შეიქნება გადამდები სენისათვის მშვენიერი ნიადაგი, ისევ შემოიღებენ გაძლიერებულ წესებს და ამრიგად ბრუნავს ეს რგოლი გაუთავებელად...“

და იბრუნებს, ვინაიდან რუსეთის ბიუროკრატიული მექანიზმი ქაოსშია ჩაფლული, „ბაყაყი კი ჭყანტობს ვერ ასცდება“...

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ დროს კიევში ეპიდემიის საწინააღმდეგო ზომების შესამუშავებელი კრებაა.

„მთავრობას ამ კრების შიში ჰქონდა და მის მუშაობას ხელს უშლიდა. როდესაც კრებამ მოისურვა რუსეთის საზარელი ანტისანიტარული მდგომარეობის მიზეზების ღრმად გამოკვლევა, როდესაც კრება ცდილობს შეიმუშავოს სენის საწინააღმდეგო სერიოზული ღონისძიების მთელი რიგი, გაისმა ხმა, რომელიც „წეს-რიგისაკენ“ მოუწოდებდა.

„წესრიგი“ მყარდება, გაზეთებში კი თანდათან მრავლდება ცნობები ხოლერიანთა რიცხვის შესახებ“.

რა გასაკვირველია, რომ ბიუროკრატიულ მთავრობას, კრებისა უფრო ეშინოდეს, ვიდრე ხოლერისა! კრების სურვილი,—გაეჯამდებ სენის მიზეზთა ღრმა გამორკვევა—ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მთავრობის მოქმედების შინაარსს ფარდა აეხადოს?!

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლად წიწამურში.** პარასკევს, 30 აგვისტოს წიწამურში, იმ ალაგას, სადაც ვერაგულად იქმნა მოკლული ილია გადაიხადეს პანაშვიდი. ტფილისიდან ქართულ საზოგადოებისა და სხვა და სხვა დაწესებულების წარმომადგენლები დილის მატარებლით გაემგზავრნენ მცხეთამდე, იქიდან არაგვით გადავიდნენ. წიწამურში უკვე შეგროვილიყვნენ:საგურამოს სამღვდელოება, ადგილობრივი მცხოვრებნი, ილიას სკოლის მოწაფე-ქალები მასწავლებლებით, წინამძღვარიანთკარის სკოლის მოწაფეები და სხვა. პანაშვიდის დაწყებამდე ლ. ბოცვაძემ მოწაფეებს მიმართა სიტყვით და აუხსნა მათ ილიას ღვაწლი, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას ჩვენს ცხოვრებაში. პანაშვიდის დროს გალობდა ილიას სახელობის საგურამოს სკოლის მოწაფე ქალთა გუნდი.

✦ **დღეს შესრულდა ოცდახუთი წელიწადი, რაც საპედაგოგიო ასპარეზზე გამოვიდა ლუარსაბ ბოცვაძე.** ხონის საოსტატო სემინარიის გათავების შემდეგ იგი ჯერ სოფლის მასწავლებელი იყო, მერე მიიწვიეს კავკავის ქართულ სკოლაში, სადაც რამდენსამე წელიწადს ხელმძღვანელობდა სასწავლებელს და ეს დრო საუკეთესო ხანა იყო სკოლის ცხოვრეააში, რვა წლის წინად ლ. ბოცვაძე გადმოიყვანეს ტფილისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც მასწავლებლობს დღესაც. იმავე დროს იგი აირჩიეს წერ.-კითხვის საზოგადოებაში გამგეობის წევრად და მიიწვიეს ჟურ·ნალ „ნაკადულის“ სარედაქციო კომისიაში. ლუარსაბი თავიდანვე იღებდა მონაწილეობას ქართულს ჟურნალ-გაზეთებში, ხოლო 1907 წლიდან შეუდგა საკუთარის საპედაგოგიო-სამეცნიერო ჟურნალის „განათლების“ გამოცემას.

ლ. ბოცვაძე ცნობილია როგორც მეტად გამოცდილი, სერიოზული, პირდაპირი და მუყაითი მასწავლებელი; ფრიად თვალსაჩინოა მისი მხნე დაუღალავი მოღვაწეობა წერ.-კითხვის საზოგადოებაში. ასეთივე იშვიათის საქმის მოყვარეობით და ბეჯითად ხელმძღვანელობს ჟურნალს „განათლებას“. სულით და გულით ვულოცავთ 25 წლის მოღვაწეობას ვუსურვებთ მრავალ წელს მხნედ მუშაობას.

✦ **აღდგენილი პროგრამა.** გაზეთ „რუსკოე სლოვოს“ დეპეშით ატყობინებენ ქუთასიდან: „ქართულ სამრევლო სკოლებს დაუგზავნეს ახალი სამოსწავლო პროგრამა, რომელიც გამსჭვალულია გარუსების ტენდენციით. ეს პროგრამა შეიმუშავა ვოსტორგოვმა საქართველოში ყოფნის დროს, რამდენიმე ხანს გაუქმებული იყო, ხოლო ეხლა ისევ აღადგინეს“

✦ დაითხოვეს და სამართალში მისცეს ს. კლდეთის მთავრობის მამასახლისი პრაპორშჩიკი **აგუშვილი.** დაითხოვეს ს. საქარის მამასახლისი **ბართ. კილაძეც.**

✦ „ჯეჯილის“ რედაქცია ბეჭდავს და ამ მოკლე ხანში გამოვა მეტად საჭირო და სასარგებლო ჩვენებურ ახლგაზრდა მოსწავლეთათვის წგნი: „მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა“-შედგენილი ალ. ქიქინაძისმიერ. შიგ ჩართულია მრავალი სურათი.

✦ „კასპს“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ, გზათა სამინისტრო აპირებს ახალის ტიპის საყინულე ვაგონების შემოღებას. 9 ვაგონი ყინულით დატვირთული აქედან გაგზავნილი იქნება ქუთაისში, საიდანაც დაბრუნდება ხილით და ხორცით. დაბრუნებისას ვაგონებს გასინჯავს სპეციალური კომისია.

✦ პეტ. დეპეშ. სააგენტო იუწყება: გუბერნიები ეკატერინოსლავისა, თავრიდისა, ჩერნომორისა, ქუთაისისა, ყუბანისა ბათომისა და სოხუმის ოლქები, სევასტოპოლი, ქერჩი, **ხოლერის მხრით საშიშოდ არიან გამოცხადებული.**

✦ **შიოევისეულის სახლის** გადაკეთების პროექტი, რომელიც ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებამ მოიწონა, გუშინ ქალაქის გამგეობამ დასამტკიცებლად გუბერნატორს წარუდგინა.

შიოევისეულ შენობაზე ამ ჟამად 400 კაცი მუშაობს: 200 დღისით და 200-ღამით.

✦ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** საფილოქსერო დასები კახეთში ისევ განაგრძობენ მუშაობას. ფილოქსერა ამ ჟამად კიდევ აღმოუჩენიათ სიღნაღის მაზრის სოფელ ვეჯინში. დასები მუშაობას 10 სექტემბრისთვის დაასრულებენ და ტფილისს დაბრუნდებიან.

**ერევნის პოლკი** 28 აგვისტოს რუსეთიდან ტფილისს დაბრუნდა, ხოლო გუშინ, 31 აგვისტოს, მანგლისს გაემართა.

✦ **ქუჩის გაფართოვება.** ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა, რათა უმაღლესად ნება დართულ იქმნას, ჩამოერთვას მირზოევსა და სხვებს მიწა ფეოდოსიევის ქუჩის გასაფართოვებლად.

✦ დიდი მთავრის ქუჩაზე **მტკვრის კედლის აღსადგენად** ქალაქის გამგეობა საბჭოსაგან 13,300 მ. თხოულობს.

✦ სამხედრო უწყებას ქალაქი ტფილისი დღემდე წყალს აძლევდა, ხოლო ფული არ მიუღია. დღემდე 225,000 მან. შესდგა. როგორც სამხედრო უწყება ქალაქის გამგეობას ატყობინებს, სამხედრო სამინისტრო ამ დღეებში განიხილავს ამ ფულის გადადების საკითხს.

✦ **საბავშვო დღესასწაული.** დღეს ახალ კლუბში საბავშვო საღამო გაიმართება.

✦ **საბირჟო ცნობები** 31 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგა ოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მ. 75 კ., აძლევდნენ—84 მან. 35 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მ. 65 კ. აძლევდნენ—82 მან. 40 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ. 30 კ., აძლევდნენ—79 მან. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—488 მ. მეორისა—362 მ. და მესამისა - 316 მან.

✦ **ხოლერის ნიშნები.** 30 აგვისტოს, საღამოს, პირველ საპოლიციო უბანში, სვიმონისეულ ახალმენში, ხოლერის ნიშნებით ავად გახდა ანა ბაკასოვისა, რომელიც გაჰგზავნეს გადამდებ სნეულებით ავადმყოფთა საქალაქო სამკურნალოში. ქალი ნამდვილად ხოლერით არის ავად თუ არა,—ამას დღეს გამოარკვევენ.

✦ **ტფ. პოლიცმეისტერი** გენ.-მაიორი ზასიპკინი, რომელიც დასასვენებლად იყო წასული, ტფილისს დაბრუნდა და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **ნ. ფ. რუდოლფი,** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, ტფილისს დაბრუნდა.

✦ **მ. ნ. ათაბეგოვი,** ქალაქის გამგეობის წევრი, რომელიც დასასვენებლად არის წასული, ტფილისს 2 სექტემბერს დაბრუნდება.

✦ **გ. დ. ჟურული და მ. ა. ჯაბარი,** ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელნი, 3 სექტემბერს კიევს მიემგზავრებიან ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე დასასწრებლად.

**პანაშვიდი.** დღეს, 1 სექტემბერს, მოღვაწის ეგნატე ხრამელაშვილის გარდაცვალების წლის თავზე, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

✦ „განათლების“ საზოგადოებამ ნება აიღო და 10 სექტემბრიდან გაჰხსნის **სამხატვრო სახელოსნო ქალთა სკოლას,** რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს. ქალებს მიიღებენ არა მარტო მათი პროგიმნაზიისას, სხვა გარეშე მსურველთაც, ხოლო ცოდნით ორი-სამი კლასისას. ორი წლის განძავლობაში ზედმიწევნით უნდა შეისწავლონ კაბების და თეთრეულობის ჭრა-კერვა. აგრეთვე ქსოვა: კალათებისა, არშიებისა, წინდებისა, სათბურებისა, ფარდაგებისა და სხვა გამოსადეგი ხელოვნება.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **მეჩექმეთა შორის.** დღეს, დილის 10 საათზე, შრომის ბირჟის შენობაში მეჩექმე მუშათა საპროფესიო საზოგადოების წევრთა კრება მოხდება. განსახილველი საგნებია: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების შემოსავლისა და ხარჯების შესახებ, 2) საზოგადოების ლიკვიდაციის საკითხი, 3) თანამდებობის პირთა არჩევა და 4) მორიგი საქმეები.

## სასამართლო

✦ **თ-დ ეჩა დადიანისა** და სხვათა საქმე 18 სექტემბერს ტფ. სამოსამართლო პალატის სესია ბაქოში გაარჩევს. სასამართლოში დაბარებულია 176 მოწმე.

## ბათომი

✦ ბათომში უმაღლესი მთავრობის ნებართვით დაბრუნდა ცნობილი ქართველი მაჰმადიანი მემედ ბეგი აბაშიძე. მ. აბაშიძეს ნება მისცეს მხოლოდ ორი თვე დაჰყოს ბათომში. ეხლა ის შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა ნება დართონ ბათომში ცხოვრებისა და ყველა უფლება დაუბრუნონ. აბაშიძე გადასახლებული იყო 1909 წელს.

## სოხუმი.

✦ სოხუმის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, აღარ მისცენ გაზით „სუხუმსკი ვესტნიკს“ ცნობები, რადგან ეს უკანასკნელი ბოროტად სარგებლობს და ყველაფერს გადამახინჯებულად ჰბეჭდავსო.

## გროზნა

✦ **კიდევ ზელიმხან.** კარგა ხანია აღარა ისმოდა რა ცნობილ ყაჩაღ ზელიმხანის შესახებ და ახლა კი მან კიდევ იჩინა თავი ორის ამხანაგით. ყაჩაღი სოფ. ციხოისთან ჩაუსაფრდა სამს ადგილობრივ მცხოვრებს და საფარიდან სამივე ამოხოცა. როგორც გამოირკვა, ყაჩაღს ჩაჩნების ჩვეულებისამებრ ამ მკვლელობით სისხლი აუღია: დახოცილთ ოდესღაც ზელიმხანის მამა და ძმა მოუკლავთ.

# დღიური

## შიმშილი!

შიმშილი მოდის მთელი თავის სიძლიერით, სიმწვავით, საშინელებით! იგი იშვიათი სტუმარი იყო ჩვენი; ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმდიდრე და ზომიერი ჰავა მედგარ დარაჯად გვედგა დ გვიცავდა მისი განადგურებისაგან. თუ ერთს მაზრას თავს დაატყდებოდა გვალვა, დანარჩენების მოსავლით ივლად გამოდიოდა; თუ პური არ იყო, სიმინდი იყო, თუ სიმინდი არა—ღვინო. დღეს კი საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან მოდის შემაძრწუნებელი ამბები—ნათესი გახმა, ჩალად და თივადაც არა გვარგიარათ, ვენახები დაიწვაო. ჯერ მოსავლის წელიწადი არ დაწყებულა, მაგრამ უკვე ჰგრძობს სოფელი მომავალი განსაცდელის სიმწარეს, უკვე გაძვირდა საზრდო, გაძვირდა სიმინდი, რომლითაც იკვებება მთელი ქუთაისის გუბერნია.

# უკვდავი სიყვარული

სალომე.

გსმენიათ სევდიანი ძახილი იმ უცხო ფრინველისა, რომელსაც წოიოს ეძახიან?

ოჰ, უცნაურია იგი, ვით ის ჰანგი, რომელსაც მისი უნუგეშო მოთქმა აქარაგმებს.

მობრ უნდება თუ არა საჩვენოსკენ ზამთრის სუსხით პირგამგუნებული, ვარვალა მზე, წოიოც მყის მორთავს თავის მწუხრულ სოლინარს...

და მოსთქვამს.

ბაგესპეტაკი ონტკოფაც კი ვერ მოასწრებს მას პირველი ცრემლის გადმოღვრას. პირმქრალი დაისიდან წითელ აისამდე სტირის იგი, ვით სასომიხდილი დედა უდროოდ დაღუპულ პირმშოს, და გამოძახილი მისი სევდით ავარაყებს მიძინებულ სოფელს.

არ ვიცი კი რატომ, ხოლო ეს ერთი ხანია ჩემს ბებერ ცაცხვს შემოეჩვია იგი და თვისი უნუგეშო მოთქმით მეც ხშირად მაღვრევინებს მწუთხე ცრემლს.

უმოძრაოდ მივეყრდნობი ხოლმე ასწლოვანი ცაცხვის დროთა ვითარებისაგან დაღარულ ტანს და სულთქმა შეწყვეტით ვუსმენ უცხო ფრინველის კაეშნიან სიმღერას.

სამგლოვიარო ზარივით მოესმის ხოლმე ჩემს ობოლ სულს მისი მკაფიო კვნესა;

სტირის და მეც მატირებს!..

რათა? რისთვის?

აი, რა მიამბო უთვისტომო ვინმე მგზავრმა, რომელიც შემთხვევით მოაწყდა ჩემს ეულ ბინას თავშესაფარის სათხოვნად:

„შავ-მორაბიეთს გადაღმა,—დაიწყო მგზავრმა—იქ, სადაც დასაბამიდან ჯერ კიდევ არ დადგმულა ადამიანის მზაკვარი ფეხი, კოშკი იდგა ცადაღმართული. განგების უტეხ ჭირვეულობას უხსოვარ დროიდან იქ დაეტყვევებინა ორი არსება:

ვაჟი—მძლეობა, ქალი—სინაზე.

დიდი იყო თურმე დანაშაული და ცოდვა მათი, რომელსაც მარადის სასტიკად სჯის წუთისოფლის უსახეობა: მათ ერთმანეთი უყვარდათ თურმე.

მზის ამოსვლისას შეხვედროდნენ ერთმანეთს ძთის წყაროს პირად და ვეღარ გაყრილიყვნენ. ვაჟს სიყვარულის ფიცი მიეცა, ქალს კი—ერთგულების მტკიცი და მას შემდეგ იმ არე-მარეს გარდუვალი ლხენა და მყუდროება ჰფლობდა თურმე: ცისკრის დამვრისას ვაჟი აიღებდა ზღვის ლერწმის სალამურს, ჩაჰბერავდა მას მძლეობის უკვდავ სულს და აათრთოლებდა, ხოლო ქალი უწყვეტ ნართივით შეაგრეხდა სალამურის კვნესას თავის წკრიალა ხმას და ხელგადახვეულნი, შეთვისებულნი მოჯადოებულ ქვეყანას ასმენდნენ სიყვარულის საზეიმო ჰიმნს. უშრეტი იყო მათი გრძნობა და უშფოთველი ცხოვრება მათი...

მაგრამ შეშურდა კაცთა სიამე მსოფლიოს გულცივ გამგეს—დიუ სახეუჩინარს—და მორაბიეთის მიუვალს კოშკში დაატყვევა გამიჯნურებული ქალ-ვაჟი—სული და გული ნაცრისფერი წუთისოფლისა. მტკიცე და ყრუ კედელი ჰყოფდა მათს შავ-ბნელ საკანს: ვაჟს არ ესმოდა ქალის უსასოო მოთქმა, ქალს კი—ვაჟის ნუგეში.

სასტიკ დარაჯად და მეთვალყურედ კოშკს სალტად ერტყა ცეცხლი და წყალი, რომლის საშინელ რკალსაც ვერ გადვიდოდა ვერა სულდგმული.

ხალასს რიჟრაჟზე ვაჟი კვნესით აცოცდებოდა საკანის დარკინულ სარკმელზე და სულწასვლით ელოდა ცხუნარე მზის პირველ სხივს, რათა მისთვის გაეტანებინა სატრფოსადმი მიძღვნილი ტკბილი სალამი და მწვავე კოცნა, ხოლო ქალი თრთოლვა-კრძალვით უცდიდა იმ ჟამს, ოდეს ცის მეუფე ქურდულად გადაჰკიდებდა ჯურღმულის სათვალეში ნაწრთობი ოქროს ქსოვილს, რათა სიფრთხილით აეკრიფა, მარგალიტის ყელსაბმელივით მასზე აკინძული, მიჯნურის ძღვენი.

და ასე მარად, ჟამითი-ჟამად.

ცოცხლად—დამარხულთ არავინ უჩნდათ სასო-მაშველად...

მაგრამ სათნოა დედამიწა და შემბრალე მისი თბილი გული—მან შეისმინა დატყვევებულთ ლოცვა დალადი და იხსნა სახმილისაგან. წყვილ გვრიტად აქცია იგინი და იმ დროს, როდესაც კვდება უსინათლო ღამე და ნაზი ფართხალით თვალს ძლივს ახელს ყრმა განთიადი, კოშკის დარაჯნი—ცეცხლი და წყალი—ტკბილი რულით მიაყუჩა: მიწას დააკვდა მოლიცლიცე ენა ცეცხლისა, შეტბორვით შესდგა მოელვარე მდინარის დენა და...

გვრიტად—ქცეულთაც მყის დასტოვეს თვისი საკანი.

მიჰფრინავს ვაჟი და გზას უკვლევს სანუკვარ მიჯნურს. უცხო ქსოვილად თვალწინ ეშლებათ ტურფა ქვეყანა.

— ვიშ, რა კარგია!

ამბობს ქალი,

—შენთან ერთად, მხოლოდ შენთან!

უხმობს ვაჟი.

— შორს, შორს, აღმოსავლისკენ, სადაც ბინადრობს ლხენა სამარადისო!

— დიახ, მზისკენ, სულ მაღლა-მაღლა; იქ ვერ მოგვწვდება ჟამთა სიავე!..

და ისწრაფვიან შეუსვენებლად ლაღნი, ეულნი..,

მიჰქრის ჟამი წარსულით დამძიმებული; თვალბრიალა მზე დასავალს მიეშურება....

— ღამდება!

შიშით ამბობს ქალი.

— კვლავ გათენდება, ჩემო სიცოცხლევ!

ანუგეშებს ვაჟი.

— ვიჩქაროთ, ვიჩქაროთ! ჰხედავ მთის წვერვალს? იქ გავითენოთ...

ფშალის ბარდზე ჩამოსხდნენ თურმე, ნაძვსა და ნაძვს შუა რომ იყო გაბმული, ფრთებს ქვეშ ამოიდეს დამძიმებული თავი და ტკბილ ძილს მიეცნენ რაგინდრაფერი სიზმრებით.

ცისკარი ჯერ კიდევ არ დაძრულიყო, რომ ვაჟმა რთვილისაგან დანამული ფრთები შეიმშუშნა და ძილღვიძრად უხმო თავის გულის სწორს, უხმო და გაჰკვირდა... კვალად უხმო, მაგრამ ამაოდ, ვეღარ ისმინა სატრფოს ძახილი: თურმე ფშალის მოჭრილი ბარდი ანაზდეულად წაზრდილიყო, ყელს მოჰხვეოდა მძინარე ქალს და დაეხრჩო..,

მას შემდეგ ობლადშთენილი, მოსთქვამს წოიო დაღუპულ მიჯნურს და ვერსად ჰპოებს ვერც ნუგეშსა და ვეღარც სიკვდილს—სამარადისოა გოდება მისი და სიყვარული.“

ა. ჭუმბაძე.

დ. ხიბი.

1913 წ. აგვისტო.

მეტად იშვიათი, არაჩვეულებრივი მოვლენაა წლევანდელი შიმშილობა. საყოველთაო იგი არასოდეს არა ყოფილა ჩვენში. მაგრამ პურის მოსავალი არაა იმდენად დაზიანებული, როგორც სიმინდის. იმერეთში საუკეთესო ადგილების ყანები დაილუპა. ისეთმა წიწებმა ულალატეს წელს სოფლელებს, რომელთაც მოუსავლობა არასოდეს არ იცოდნენ. გახმა ის, რომელიც საუკუნოებით ნოყიერი იყო, მუდამ ამწვანებული ველი დაემზგავსა უდაბნოს ხრიოკებს; ადამ ღიმილის აღმძვრელი მინდვრები, დღეს სიმწარის ნაღველით ავსებენ გულს გლეხებს. მწვანე ტყეებიც კი შეყვითლდნენ და ცეცხლის ფერი გადაჰკრეს მთელს მხარეს. სოფლის ბედი უნუგეშოა, იგი დღეს თვალცრემლიანი დაჰყურებს დედას, დედას, რომელიც ყოველთვის უხვი იყო, მდიდარი, ხელგაშლილი, მოყვარე, ეხლა კი მტრად იქცა თითქოს, ყვითლაფერი მოსჩანს შთანთქა. საშინელია დღევანდელი სოფლის ბედი, ღრმა გაჭირვება განიცდის, დიდია განსაცდელი.

რა ვქნათ? რითი მივეშველოთ ამას? სოფელი ჩვენი ქვეყნის დედაბოძია, იგი ჩვენი ხალხის მშობელია, ჩვენი ეროვნების საუკეთესო ზღუდე და მფარველია. ასე ყოფილა ყოველთვის: სამშობლოს (ციხე-ქალაქები დანგრეულნი მტრისაგან, აუდგენია და განუახლებია სოფელს; ქალაქში დაბინავებული და გამაგრებული მტერი, დაუმარცხებია და გაუძევებია სოფელს; სოფელს უფეთქებია ციხე, სადაც იჭედებოდა მონობის ბორკილები. ასეა დღესაც: თუ ღონიერია სოფელი, უძლეველია ერიც; თუ მდიდარია მთელი ქვეყანა, თუ განათლებულია, შეგნებული სოფელი, ვერავინ ჩაწიხლავს და ვერ გასთელავს ფეხით ეროვნებას. ამიტომ სოფლის დღევანდელი განსაცდელი ღრმა ეროვნული განსაცდელია, მთელი ქართველი ერის გაჭირვება და მწუხარებაა. სოფლის დაქვეითება, გაღატაკება, დასუსტება—ეს ყველას დაუძლურება და დაავადებაა.

სამწუხაროდ ჩვენ დღემდე არ მიგვიქცევია სოფლისთვის ჯეროვანი ყურადღება; სოფელს აკლია შეგნებული, განათლებული მუშაკები; ყველა დამთავრებულები ქალაქს რჩებიან და სოფელში არავინ რჩება მრჩეველი, ხელმძღვანელი, მოძღვარი. სოფელი ცალიერია, მაშინ, როდესაც არსად არაა იმდენი სამუშაო, როგორც სოფელში. სოფლის გლეხი მოწყურებულია ცხოვრების უმჯობესობას, ახალს სამეურნეო საშუალებას, ახალს გზას, ცოდნას; კარგად ჰხედავს, რომ წინანდელი მეურნეობა მისთვის დღეს გამოუსადეგარია, დაძველებული, მაგრამ არავინაა მისი მასწავლებელი, ახალი გზის მაჩვენებელი და გამკვლეველი. სოფელი გაფაციცებით დაეძებს ახალს იარაღს, მაგრამ არსადაა ეს იარაღი, არავინ მიაწოდა, არავინ აჩვენა. სოფელს უნდა ამაღლება, მაგრამ არ აქვს ძალა, რომ ხელი გაუწოდოს და დაეხმაროს.

და აი დღევანდელი შიმშილობა სოფლისა, საშინელი განსაცდელი ყველაზე უწინარეს იმას გვავალებს, რომ განსაკუთრებული, სერიოზული ყურადღება მივაპყროთ სოფელს. ეს არის უპირველესი ფართო და პრინციპიალური საგანი; ეს სამუდამო, მუდმივი საქმეა და არა დროებითი, ხანმოკლე. მივიდეთ სოფელთან, ჩავუდგეთ სოფელს სათავეში, შევიტანოთ სოფელში ცოდნა და იარაღი მაღალის კულტურისა. მოვფინოთ სამეურნეო განათლება, გავაძლიეროთ ამხანაგობებით და კავშირებით. გვახსოვდეს, რომ დღევანდელის სამეურნეო კულტურით ჩვენს სოფელს არ შეუძლიან არსებობა, ცხოვრებამ გარდაიარა ეს ხანა და, თუ არ გვინდა ვიყოთ ცხოვრების ნანჩალები, ჩვენმა სოფელმაც თავი უნდა დააღწიოს ამ ხანას და შეიგნოს, რომ ჩვენი ქვეყანა აღარაა სიმინდის და პურის ქვეყანა, რომ სოფლის ბედი და უბედობა და მასთან მთელი ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობა, ერის სიძლიერე დამოკიდებულია იმაზე, გადავალთ თუ არა მაღალ კულტურაზე.

სხვა დრო დადგა და აუცილებლივ საჭიროა ამის სავსებით შეგნება, ამისთვის მხნე დაუღალავი მუშაობა: ჩვენი სამშობლო აღარაა ყანების ქვეყანა, იგი უნდა გადაიქცეს ბაღებად და ბოსტნებად. ეს აუცილებელი გზაა ჩვენი ეკონომიურის განვითარებისა, და ყოველის საშუალებით დაუყოვნებლივ ხელი უნდა შეუწყოთ ამის განხორციელებას. ეს არის უმთავრესი, უდიდესი დავალება ჩვენი სოფლის დღევანდელის განსაცდელისა.

მაგრამ მარტო ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. საჭიროა სწრაფი დახმარება, რომ ცოტათ მაინც შევუმსუბუქოთ სოფელს ეხლანდელი გასაჭირი, ოდნავად შევუმსუბუქოთ შიმშილობის ტვირთი, მძიმე უდლის შედეგები. საჩქაროდ უნდა შესდგეს კომიტეტები, გამოვიკვლიოთ, სად როგორი განსაცდელია მოსალოდნელი და შევუდგეთ ფულის მოგროვებას. უნდა შევაჩეროთ სხვა ყოველივე საქმის დახმარება და დღეს მხოლოდ და მხოლოდ ვიზრუნოთ დამშეულ სოფლისათვის. აქ ყოყმანობა შეუძლებელია, აქ დაგვიანება მიუტევებელია. თუ ჩვენში არის საზოგადოებრივი შეგნება, ახლა უნდა გამოვიჩინოთ იგი; თუ ჩვენში სცემს საზოგადოებრივი მაჯა, ახლა დავამტკიცოთ ეს. განსაცდელის შეგნებით ამოძრავდეს მთელი ერი და ასეთი ერი ყოველთვის ძლიერი იქნება, რაც უნდა მცირე და ღარიბი იყოს იგი!..

**სიტყვა.**

## მეც მათქმევინეთ!

(„განთიადელების“ საყურადღებოდ)

თვეზე მეტია, რაც ქართულ გაზეთების შორის ასტყდა პოლემიკა დიდებული მამულიშვილისა და ქართველთა ერის მესაიდუმლისა აწ განსვენებულის ილია ჭავჭავაძის პიროვნების გარშემო. ბატ. ფ. მახარაძემ გაზ. „წყაროს“ ფურცლებზე გაილაშქრა მის წინააღმდეგ და, ვინ მოსთვლის, რა საზიზღარი ცილი არ სწამა დიდებულ ადამიანს. ამას მოჰყვა, რა თქმა უნდა, „სახალხო გაზ.“ და სხ. გაზეთების სამართლიანი აღშფოთება. მაგრამ ბატ. ფ. მახარაძე მაინც არ სცხრებოდა და განაგრძობდა სიცრუის ბოდვას. მას შეუერთდა გაზ. „განთიადი“, რომელმაც იწყო „სახალხოელების“ და „იმერეთელების“ წინაღმდეგ საპროტესტო წერილების ბეჭვდა, რაც ადვილი გასაგებია: „წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“. და „განთიადელებსაც“, პოლემიკის უნარი რომ აღარ შესწევთ, მიმართეს სამარცხვინო წერილების ბეჭვდას და, ვინ იცის, რა საშუალებას არ ხმარობენ, რომ პროტესტანტთა რიცხვი გაჰბერონ. პირადად მე დღემდე არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი ამ პროტესტებს, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ თვით „განთიადელები“ გონს მოვიდოდნენ და ასეთ სამარცხვინო საქციელს თავს დაანებებდნენ, რადგან ასეთი ქცევით ფონს ვერ გავიდოდნენ, და, პირიქით, თავისსავე წინააღმდეგ და სთესდნენ შუღლსა და ზიზღს იმ ძოხარე თაობაში, რომელიც პატივსა სცემს ილიას ხსოვნას და ადვილად ვერავის მისცემს ნებას მისი საფლავი შებღალოს, მაგრამ „განთიადელებმა“ იმდენად დაჰკარგეს მოსაზრება, რომ კვლავ განაგრძობენ სამარცხვინო წერილების ბეჭვდას.

აქვე უნდა აღვიარო, რომ მე არც ჟურნალისტი ვარ და არც პუბლიცისტი, მაგრამ ამ წერილის დაწერა მაიძულა ერთმა გარემოებამ; ამ ორი კვირის წინად გაზ. „განთიადში“ წავიკითხე საპროტესტო წერილი ხახიჩევანიდან, რომელსაც ხელს აწერდა სხუთმეტამდე მუშა. გული სიბრალულით ამევსო, როცა ეს წერილი წავიკითხე,—მინდოდა მაშინვე „განთიადელებისთვის“ მიმეწერა პატარა ბარათი, სადაც მათდამი უნდა გამომეცხადებინა სინანული და მერჩია მეგობრულად, როგორც ყოფილს „განთიადელს“, შეუგნებლობის გამო ნუ აჰყოლიან გულის თქმას და ნუ იტეხენ სახელს, მაგრამ სავადმყოფოში ვიყავი და სისუსტისაგან ხელები არ მემორჩილებოდა... დღეს ძოვეცა საშუალება და მინდა ვურჩიო მათ ცოტა რამ:

საჭიროა ბატ. „განთიადელებო“ ყურადღება მიაქციოთ იმ პირთ, რომელნიც ხელს აწერენ საპროტესტო წერილებს, რადგან საკითხავია, იციან ძათ თუ არა მნიშვნელობა იმისი, რაზედაც აწერინებენ ხელს; ამისთვის კი საჭიროა გყავდეთ „გამოცდილი აგენტები“, თორემ, ბატონებო, სამარცხვინო სახელს დაიმსახურებთ და ბოლოს გვიანღა იქნება „ნეკზე კბენანი“. „განთიადელები“ გახარებულები ბეჭდავენ ხელმოწერილ წერილებს და ამაყობენ, რომ დიდძალი თანამოაზრენი ჰყავთ, მაგრამ ის კი არ იციან, რომ უმეტეს ნაწილს „ინჩიც“ არ ესმის არც „განთიადელებისა“ და არც „სახალხოელებისა“, მხოლოდ სახელის გულისთვის და თავის შესაფარებლად, როგორც ეს „მოდათ“ იყო მიღებული მოძრაობის დროს, როცა თვით „სოლოლაკის პროლეტარიატიც“... „დასელთა ბანაკს“ ეკუთვნოდა; ასეთივეა უმეტესი ნაწილი პროტესტანტებისა. ამის დასამტკიცებელი საბუთები ბევრი მაქვს. შემეძლო მომეყვანა ათასი მაგალითი, მაგრამ ეს კვლავისთვის იყოს. ეხლა კი ნახიჩევნის პროტესტანტებს შევეხები.

თითქმის ერთი წელიწადია, რაც მე ამ მუშათა შორის ვტრიალებ და ყველას კარგად ვიცნობ, თუ ვის რა განვითარება და ცოდნა აქვს, არა ერთხელ და ორჯელ მქონია მათთან საუბარი ამა თუ იმ კითხვაზე, მაგრამ არც ეოთ მათგანს არავითარი წარმოდგენა არა აქვთ სოციალურ კითხვებზე, მხოლოდ კაჭკაჭივით შეუსწავლიათ რამოდენიმე ფრაზა და იმის იქით ველარ წასულან. ფ. მახარაძის წერილი იბეჭდებოდა „წყაროში“, საუბარი მქონდა, თუ რა შეხედულების იყვნენ ისინი ილია ჭავჭავაძეზე; ნახევარი მათგანი მხოლოდ იცნობდნენ იმას თავადად და არც კი გაეგონათ, თუ ვინ იყო ან რა ღვაწლი მიუძღვის მას სამშობლოს წინაშე. და აი, ბატონებო, ასეთი ელემენტები აწერენ ხელს პროტესტებს! ერთმა მათგანმა განაცხადა: „წყაროში“ წავიკითხე ილია ჭავჭავაძე მკაცრი და მტანჯველი მემამულე იყოვო, მხოლო თუ დაწერა რამე მოძრაობის შემდეგო, როცა ხალხი აღელდა, იმიტომ რომ ამით მოეპოებინა სახელიო“. დასასრულ, მინდა ნახიჩევნელ მუშებს ორიოდე სიტყვით მივმართო: მე თქვენში ვარ და მინდა ყველამ ან ერთმა თქვენთაგანმა ამიხსნას ორიოდე კითხვა და თუ დამაკმაყოფილებთ მე მზად ვარ ბოდიში მოვიხადო თქვენს წინაშე გაზეთის საშუალებით:

1. ვინ იყო ილია ჭავჭავაძე ან რა ღვაწლი მიუძღვის მას სამშობლოს წინაშე?

2. ვინა ხარ შენ ან რად ეკუთვნი „განთიადელებს?“

3. რა მოსაზრებით მოაწერე საპროტესტო წერილს ხელი ან რა მნიშვნელობა აქვს მას?

ამ სამ უბრალო კითხვაზე მიპასუხეთ პირადად, ან გაზეთით; მხოლოდ გეტყვით, რომ მე არ გამომეპარება თუ თქვენ სხვას მიმართავთ ამ სიტყვების ასახსნელად ან დასაწერად და მაშინ, იცოდეთ, შესაფერ სახელს გიწოდებთ. დეე, თქვენმა თხუთმეტმა თუ ოცმა თავმა მიპასუხოს ამ კითხვებზე და, როგორც ზემოდ ვთქვი, დაკმაყოფილებისთანვე ბოდიშს მოვიხდი.

**გლეხა ვანო.**

## თაღლითობა და მისი დამცველები

„სახალხო გაზეთის“ № 964-ში მე პასუხსა ვსთხოვდი კოსტია ბოლქვაძეს: საპროტესტო წერილზე ხუთი წლის ბავშვის სახელი და გვარი რატომ გამოაცხადე-მეთქი და მასთან იმასაც ვწერდი, რომ ხოქართაგანს ორ-სამს თუ ეწერა ხელი და ისიც საქმის ვითარების გაუთვალისწინებლად მეთქი. ველოდი პასუხს კოსტია ბოლქვაძისაგან, მაგრამ, პასუხის მაგიერ, მივიღე 52 კაცისაგან ხელმოწერილი საპროტესტო წერილი, სადაც სამ ქართულ გაზეთთან ერთად ზიხოს მიცხადებენ მეც და ისეთი სიტყვებით ძამკოაენ, რომ მე, უბრალო ნოქარი, არ ვიკადრებ მისი მზგავსი სიტყვების გახმეორებას.

ამ ლანძღვა-გინების შემდეგ მცირე შენიშვნა არის გაკეთებული რედაქციისაგან; თურმე „ჩემი მოჩმახულიდან ადვილად გაიგებდა ცოტა დაკვირვებული მკითხველი, რომ ჩემი წერილი ზღაპარი იყო“. შემდეგ უსაყვედურებს „სახალხო გაზეთს“, რომ ჩემი წერილი შეუმოწმებლად დაბეჭდა და ძასთან გაზეთ „იმერეთსაც“ გადაბეჭდვისათვის.

21 აგვისტოს „განთიადის“ ერთ №-ში კი კოსტია ბოლქვაძე სამედიატორო სამართალში მიწვევს და კაცებიც დაუსახელებია თავის მხრით.

რადგანაც კოსტია ბოლქვაძე ისეთ გამბერაზად არ მიმაჩნია, როგორც მას აქვს თავი წარმოდგენილი, ამიტომ ვაძლევ წინადადებას „განთიადის“ რედაქციას, რომელიც „შეუმოწმებლად არაფერს ბეჭდავს“:

1, თუ მე ვერ დავამტკიცე, რომ პირველ საპროტესტო წერილზე ხუთი წლის ბავშვის სახელი და გვარი ეწერა ჩემი წერილის თანახმად, (იხ. „სახ. გაზ.“ № 964) იმ შემთხვევაში ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გადავიხადო ფულად 25 მანეთი ქ. შ. წ. კ. გუდაუთის განყოფილების სასარგებლოდ.

2, თუ დავამტკიცე, რომ გერმანე დარჩია ხუთი წლის ბავშია, რომ გერმანე ესე არის შვილი თეოფილესი, და არა გერმანე იგივე თეოფილე, არამედ გერმანე თეოფილესძე დარჩია, იმ შემთხვევაში „განთიადის“ რედაქციამ კოსტია ბოლქვაძესთან ერთად და მასთან იმ 52 მეპროტესტენთან ერთად გადაიხადონ ზემოხსენებულ დაწესებულების სასარგებლოდ (რადგან რიცხვით ბევრნი არიან) 100 მანეთი; (თითოეულს შეხვდება ორ მანეთზე ნაკლები) და თუ „განთიადის“ რედაქცია მოისურვებს (ჩემის აზრით კი კარგს იზამს) და გამოგზავნის თავის მხრით კაცს ზემოხსენებულ საქმის გამოსაძიებლად, მტყუანმა მხარემ იკისროს ყოველივე ხარჯი, გამოწვეული ხსენებული საქმის გამოსარკვევად. გთხოვთ პასუხს პირდაპირს.

ნოქარი ნოე კონტირია'ს ძე **შანტურია.**

P. S. როცა „განთიადის“ რედაქციის აზრს გავიგებ, ჩემის მხრით მედიატორებს მაშინ დავასახელებ.

**ნ. შანტურია.**

## მუშათა ცხოვრება

**ბ ა თ ო მ ი.**

ამ დღეებში აქ გაიფიცნენ მედროგეები, რომელთაც ნავთის ყუთები ქარხნებიდან გემებზე გადაქვთ. თხოულობდნენ თითო გადაზიდვაში 50 კაპ. დღემდე ღებულობდნენ 30 კაპ., მექარხნეებმა მათი მოთხოვნილება ნახევრად დააკმაყოფილეს, ე. ი. 40 კაპ. გაუხადეს, რაზედაც მედროგეები თანახმა გახდნენ და მუშაობას მიჰყვეს ხელი. ამ ხელფასს ისინი 1905—1907 წლებშიც ღებულობდნენ, მაგრამ შემდეგ 30-მდე და ზოგან 25-ზეც დაუყენეს.

**ტ ყ ი ბ უ ლ ი.**

გაიფიცნენ მაღაროს მუშები. მოითხოვენ: 1) 8 საათის სამუშაო დღეს; 2) ქირის მომატებას 25—35 პროცენტამდე; 3) ჯამაგირების მიღებას ყოველ თვის 20-ს; 4) მოზრდილ მუშის მინიმალური ხელფასი 1 მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს; 5) თვიურ მუშას წელიწადში ერთხელ 1 თვით განთავისუფლება ხვედრი ჯამაგირის გამოუკლებლად და 6) მუშების დათხოვნა ადგილიდან, როგორც ეს ხდება დღეს ყოვლად უმიზეზოდ, მუშების წარმომადგენლების დაუკითხავად არ უნდა ხდებოდეს. ამ მოთხოვნილების წარძოდგენის შემდეგ, რადგან მმართველმა უარი უთხრა მუშებს დაკმაყოფილებაზე, მუშები გაიფიცნენ. გაიფიცა ყველა მუშა, რიცხვით 700 კაცი. ამათში 100 კაცამდი თათრებია, დანარჩენი ადგილობრივი მკვიდრნი.

**გ რ ო ზ ნ ა.**

✦ ზოგიერთმა მრეწველმა გროზნაში მუშებს გამოუცხადა, ბინა დასცალეთო. მრეწველები ახალ მუშებს იღებენ. გროზნას მისულა დეპუტატი გელოვანი, რომელმაც შეკრიბა მასალეპი სათათბიროში შეკითხვის შესატანად. გელოვანი აქედან მიემგზავრება ბაქოს, სადაც ცნობებს შეჰკრებს გაფიცვის თაობაზე.

✦ ნავთის მრეწველებმა გროზნაში გამოუცხადეს მუშებს: რაიმე დათმობა შეუძლებელია და ამიტომ ანგარიში მიიღეთო. მუშებმა მრეწველების მოთხოვნაზე უარი განაცხადეს და მოითხოვეს სამი თვის ჯამაგირი. მრეწველთა ყოველ დღიური ზარალი აღემატება მილიონ მანეთს.

**დუბლინი (ირლანდია).**

გაფიცვა გრძელდება და, ალბად, არც მალე გათავდება. ორივე ბანაკი—მწარმოებლები და მუშები დარაზმულები სდგანან ერთი მეორის წინააღმდეგ დ ემზადებიან ხანგრძლივი ბრძოლისათვის.

**ო დ ე ს ა.**

ნავთსადგურის გაფიცულ მუშების ადგილს იჭერენ სოფლიდან ახლად დაბრუნებული მუშები.

**სმოლენსკი.**

ხლუდოვის ფაბრიკის 2,000 მუშას წინადადება მისცეს, ანგარიში ჩაიბარონ.

— მუშები ბოიკოტს უცხადებენ საავადმყოფო კასებს. გერგარდის ფაბრიკაში 200 მუშიდან მხოლოდ ოთხმა დაასახელა კანდიდატები არჩევნების დროს.

**პეტერბურგი.**

სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს ცნობებით, პირველ აგვისტომდის შესდგა 1047 საავადმყოფო კასა, ე. ი. 30% იმ რიცხვისა, რომელიც უნდა გაიხსნას საზოგადოთ. ხოლო ამ რიცხვიდან მარტო 2/5-მა მოახდინა მუშათა არჩევნები წესდების განსახილველად; გადასახადის შეგროვება და დახმარების გაცემა კი მხოლოდ 10% დაიწყო. ამ 1047 კასაში ჩაეწერა 789 ათასი მუშა, ე. ი. 38% იმ მუშების რიცხვისა, რომელნიც უნდა ჩაეწერენ საერთოდ საავადმყოფო კასების წევრებად.

## ტფ. ტრამვაის მუშათა გაფიცვა.

გაფიცვამ გუშინაც მშვიდობიანად ჩაიარა. ტრამვაის დირექტორმა ფ. ჰ. ტახტაჯიანცმა 30 აგვისტოს ბრიუსელში დეპეშით სთხოვა, აცნობონ საჩქაროდ მოთხოვნილებათა რომელ მუხლების დაკმაყოფილება მიაჩნიათ შესაძლებლად.

გაფიცვის გამო ბელგიის კონსულს, ბელგიის უსახელო საზოგადოების თხოვნის თანახმად, აზრად აქვს, შუაკაცობა იკისროს გაფიცულ მუშათა და დირექციის შორის.

ბელგიის უსახელო საზოგადოებამ 29 აგვისტოს დეპეშა გამოუგზავნა ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვსაც, რომელსაც სთხოვს, ხელი შეუწყოს გაფიცვის ჩქარა დასრულებას. ბრიუსელიდან გუშინდლამდე აღარავითარი დეპეშა არ მოსულა.

როგორც გავიგეთ, გუბერნატორს აზრად აქვს, წინადადება მისცეს ბელგიის უსახელო საზოგადოებას, დაუყოვნებლივ გამოჰგზავნოს ტფილისში ისეთი რწმუნებული, რომელსაც სრული უფლება ექნება გაფიცულებთან მოსალაპარაკებლად.

ამას გარდა გუბერნატორი გაფიცულთაც მისცემს წინადადებას, დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას. თუ მუშები ამ წინადადებას არ დაემორჩილებიან, მაშინ მოძრაობის აღსადგენად მოწვეულ იქნებიან სარკინისგზო ბატალიონის ჯარის-კაცნი.

ეტლების სიმცირემ მეტად იჩინა თავი. ეტლების ცდა ხალხს საათობით უხდება და უფრო ხშირად ვერა შოულობს. ქალაქი კი დღემდი არა ფიქრობს, საზოგადო ეტლების მოწყობას, რაც ხალხის შეწუხებას შესამჩნევად შეასუსტებდა.

## თეატრი და ხელოვნება

ქუთ. დრ. საზ. გამგეობამ წინადადება მისცა ტფილისის დრ. საზ. გამგეობას, რომ თვეში ოთხი წარმოდგენა გამართოს ქუთაისში, ამის გამო მოლაპარაკება აქვთ.

პირველი ქართ. წარმოდგენა ჩვენს თეატრში კვირას, 15 სექტემბერს იქნება.

როგორც გავიგეთ, ბაქოში ქართ. დრ. წრეს რეჟისორად ჰსურს მიიწვიოს ვალ. გუნია. ბ-ნ გვარამძეს უარი უთქვამს.

დრ. საზ. გამგეობამ დასში მიიღო ქარ. დრამ. კურსების მოწაფე ქ-ნი თოიძე (მხატვარ თოიძის ასული).

**სეზონი ქუთაისში.**

ქუთაისის თეატრში მომავალი ზამთრის სეზონის განმავლობაში რეგულიარულ წარმოდგენების გასამართავად დაარსდა ქართველ მსახიობთა ამხანაგობა. დასში სამსახურის სურვილი განაცხადეს შემდეგმა პირებმა—ქალები: ა. აპალონია, ა. ლოლუას ასული, მ. ლოლუას ასული, ლ. დოლობერიძის ასული; ვაჟები: ი. ბარველი, ა. მურუსიძე, კ. მაჭარაშვილი, ა. მგალობლიშვილი, ნ. კანდელაკი, ვ. სარული, ა. სანდალიძე, ლავ. ჩარკვიანი, ა. ქელიძე, შ. ხონელი, სუფლიორი გ. მუმლაძე, სცენარიუსი ს. ხურციძე. სამიატრო ნაწილის გამგედ განზრახულია მოიწვიონ ჩვენი ცხობილი ბელეტრისტი დავ. კლდიაშვილი. შემუშავებულია საგასტროლო სისტემის გეგმა; ასეთ გასტროლებისათვის მოწვეული იქნებიან—ქალებიდან: ტ. აბაშიძე, ო. ლეჟავა, ნ. დავითაშვილი, ეფ. მესხის, ბ. რონელი; ვაჟებიდან: ვ. აბაშიძე, ვლ. ალექსი-მესხიშვილი, ვ. გუნია, კ. მესხი. რეპერტუარის შესადგენად განსაკუთრებული კომისიაა ამორჩეული, რომელსაც დაევალა რეპერტუარის შედგენა, სადაც უმთავრესი ყურადღება ექნება მიქცეული ჩვენი დრამატურგების ახალს ორიგინალურ პიესებს. სხვათა შორის, დასახელებულია წარმოსადგენად ქუთაისის სცენაზე ჯერ უთამაშებელი პიესები—მაგალითად: ნინო ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“, შიუკაშვილის „მთის ზღაპარი“, „ნაგავი“, გედევანიშვილის „ოჯახი“ და სხვა. აგრეთვე გადაწყვეტილია თეატრში უკვე არსებული ფასების საგრძნობლად შემცირება ყველა ჩვეულებრივ წარმოდგენისათვის. სეზონის დასაწყისი განსაკუთრებული განცხადებებით იქნება გამოქვეყნებული. ამხანაგობის დასი სეზონის სამზადისს სამს ენკენისთვეს შეუდგება.

## რუსეთი

**უნივერსიტეტის ახალი წესდება.**

მესამე სახელმწიფო სათათბიროში სახალხო განათლების მინისტრის შვარცის მიერ შეტანილი იყო განსახილველად ახალი საუნივერსიტეტო წესდება, მაგრამ როგორც ვიცით ეს წესდება მალე უკან წაიღეს მისი მოადგილის განკარგულებით. ეხლა, „ნოვოე ვრემია“-ს ცნობით მას შემდეგ რაც საბჭოში გამოითქვა სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე იყოს გატარებული საკანონმდებლო დაწესებულებებში ახალი წესდება, სახალხო განათლების სამინისტროსთან კასოს თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეუდგება ამ წესდების განხილვას. ამ ჟამად კომისია მუშაობს იმ მასალების მოწესრიგებაზე, რომელიც შეგროვილი იყო კასოს წინედ და აგრეთვე იმ შესწორებებზე, რომელიც უიქველად აუცილებელია ძველ წესდებისათვის. კომისიის მუშაობაში უნივერსიტეტის წარმომადგენლები მონაწილეობას არ იღებენ, მაგრამ მისი დამუშავების შემდეგ უკანასკნელნი მოწვეულნი იქნებიან ამ ახალ წესდების საფუძვლის გასაცნობად და გამოსთქვამენ თავის აზრს, შემდეგ პროფესორების შენიშვნებს განიხილავენ კომისიაში, ამრიგად ახალი წესდების გეგმა საკანონმდებლო დაწესებულებაში შეტანილი იქნება არა უადრეეს მომავალი წლისა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**30 აგვისტო.**

**უ ც ხ ო ე თ ი.**

**ლონდონი.** სუფრაჟისტმა ქალებმა ცეცხლი წაუკიდეს დიდ სასახლეს სენტონში. ცეცხლმა დიდი ზარალი მოიტანა, თუმცა ადრე ჩააქრეს.

**ჰამბურგი.** დაღუპულ დირიჟაბლისაგან ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი დამხჩვალის გვამი ამოიღეს.

**რომი.** პოლიტიკურ წრეებში მითქმა-მოთქმას იწვევს ის გარემოება, რომ საერთაშორისო კომისიამ ვერ დაამთავრა მუშაობა ალბანეთის საზღვრების თაობაზე. „ტრიბუნა“ აღნიშნავს: საფრანგეთს ჯერ კიდევ დაუნიშნელი ჰყავს დელეგატიო. შესაძლებელია, ამბობს გაზეთი, რომ ალბანეთისა და საბერძნეთის საზღვრები განუსაზღვრელი დარჩეს და მშვიდობიანობას საფრთხე მოელისო.

**ტოკიო.** ჩინეთის მთავრობა სიტყვიერად თანახმა გაუხდა იაპონის მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილოს. თუ ჩინეთმა ფორმალური პასუხის მიცემა დააგვიანა, იაპონია ენერგიულ ღონისძიებას მიიღებს. ჯერ-ჯერობით ჯარის გაგზავნას ჩინეთში ნაადრევად სთვლიან.

**ვენა.** სპარსეთის რეგენტი რუსეთის გზით თეირანს გაემგზავრა.

**ბერკი.** ავიატორი ლორენსი ოთხასი მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.

**ათინა.** მოლაპარაკება საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის გრძელდება. ოსმალები ამბობენ, ბერძენთა წინადადებანი მისაღები არისო. დიდმა ვეზირმა დაარწმუნა საბერძნეთის წარმომადგენელი, ზავს ადრე მოვაწერთ ხელსო.

**ვენა.** მარიენბადში ჩამოსულ ექიმის ცოლს ხოლერის ნიშნები აღმოაჩნდა.

**ბუდაპესტი.** სამი კაცი ხოლერით ავად არის. ნეიპეშტსა და ნეზაცში თითო, სკოლაში სამი, ამათგან ერთი გარდაიცვალა.

**ტოკიო.** „ნიროკუ“ იუწყება, რომ რუსეთის მთავრობამ განსაკუთრებული ინსტრუქციები დაუგზავნა ირკუტსკისა და პრიამურის გენერალგუბერნატორებს უკანასკნელ ამბების გამო ჩინეთში. რუსეთიო, დასძენს გაზეთი, აქტიურ გამოსვლას ეპირება მონგოლეთშიო. ოპოზიცია განაგრძობს მთავრობის პოლიტიკის კრიტიკას და აღნიშნავს: ინგლისი ჩინეთის მხარის დაჭერას აპირებსო.

ეხლა პეტერბ. დეპეშათა სააგენტო აცხადებს: არავითარი ინსტრუქციები გენერალ-გუბერნატორთათვის მთავრობას არ მიუციაო.

**ტოკიო.** ოფიციოზი წინააღმდეგია ნანკინის ოკუპაციისა. იაპონია მხარს დაუჭერს ჩინეთის მთლიანობას. ოპოზიციის „კოკუმინი“ მოსურნეა იაპონიამ ნანკინის ოკუპაცია მოახდინოს, რადგან უცხო სახელმწიფონი ამის წინააღმდეგნი არ გახდებიანო.

**მანჩესტერი.** მუშათა გაფიცვა ძლიერდება. პომონის გემთა სააღმაშენებლოში გაიფიცა 400 მუშა.

**ცეტინიე.** მინისტრთა თავმჯდომარე ვუკოტიჩი ბელგრადიდან დაბრუნდა.

**რომი.** „სტეფანის სააგენტო“ უარჰყოფს „ოტომანთა სააგენტოს“ ცნობას, თითქოს იტალიაში მიტინგები იმართებოდეს კუნძულ როდოსის ანექსიის მოსათხოვნად. იტალია იმ აზრისაა, რომ არც ერთმა დიდმა

სახელმწიფომ წარსულ ომისაგან არ უნდა ისარგებლოს.

**ტრიესტი.** კონვალკონის ქარხანამ ხელშეკრულება დასდვა ჩინეთთან 2 წლისა და ორი თვის განმავლობაში სამი მსწრაფლ-მავალი კრეისერის აშენების თაობაზე.

**ვენა.** ავსტრიაში ხოლერით კიდევ ერთი კაცი გარდაიცვალა.

**პეკინი.** იაპონიამ ჩინეთს შემდეგი მოთხოვნანი წარუდგინა: დამნაშავენი უნდა დაისაჯნენ, ბოდიში ტოკიოში მოიხადეთ, ამას გარდა ჩუასიუნმა პირადად ბოდიში უნდა მოიხადოს ნანკინის კონსულის წინაშე, ხოლო ჯარმა პატივისცემის ნიშნად საკონსულოს წინ გაიაროს.

ჩინეთის მთავრობა იწვევს 200 გერმანელ ინსტრუქტორს ჯარის რეორგანიზაციისთვის. პეკინში ბინა ექნება გერმანელ გენერალს შტაბით, რომელიც ექვსი აფიცრისაგან შესდგება.

შესდგა ახალი კაბინეტი, პარლამენტის მიერ მოწონებულ წევრებისაგან.

**რ უ ს ე თ ი.**

**პეტერბურგი.** დაიჭირეს მე-24 ნომერი „სევერნაია პრავდა“-სი მე-5 ნომერი „ჟივაია მისლ“-ისა.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** იარმუკის წარმომადგენელთა კრებამ ათი ათასი მანეთი გადასდვა მინინისა და პოჟარსკის ძეგლისათვის.

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ა. ჭუმბაძე.**

# განცხადებანი

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს., სად. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს ღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**გონორრეას (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:**
**„SALO—პიჩილინ“.**
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებით და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.** **აგრეთვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**
დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.
Метцль 22238. 1038

**ი ყ ი დ ე ბ ა**
ძლიერ იაფად 72 საჟენი სამოსახლო მიწა ვერის ბაღებთან, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ. მდებარეობა საუცხოვო აქვს. მსურველმა უნდა მიმართოს მეპურე **ბ. უთნელიძეს**, ოლღას. ქუჩა, სახლი წილოსნისა, № 54. 591

**ექიმ ნავასარდიანის**
**პირველი კერძო სამკურნალო**
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
**„606“ და „914“**
**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ბეგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
**ქ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

**საბურთალოზე**
**მშვენიერ ადგილას**
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

**ფეხსაცმელები**
**თომა დ. ჯანუარაშვილის**
**მაღაზია-სახელოსნოში,**
მუხრანის ქ. № 2.



ყოველნაირი:
**საკუთარი დ პეტერბ.**
მექანიკური ნაწარმოები. 527

**გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში**
**ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო—კრებული**
# ვ ვ ი რ ზ ვ ი ნ ი
**ფასი ერთი მანეთი**
1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქისა.
2. სუმერული დ ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით პ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე. 1371

**ოქროს მედალი** **ოქროს მედალი**
Золотая медаль. Золотая медаль.




# შ პ ა ლ ი ე რ ი
**მოსკოვის საქარხნო საწყობისა**
**ვლადიმერ ალპატოვისა**
GRAHD-PRIX
ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნოა 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**
**საკომერციო ცოდნათა კურსები**
**ტ. მ. ფილოიანისა,**
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, **ტელეფ. № 976.**
**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:
**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო დ საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია. (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10–12 ს., დილით და 4—7 ს. სადამ. მეცადინეობა დაიწყება **15 ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424



1078

**უფლებიანი საპაჭრო სკოლა უფლებიანი**
**და საბუჰგალტერო კურსები**
**ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.**
მისაღები და დამატებითი გამოცდა **28 და 31 აგვისტოს.** მისაღებთა რიცხვი განსაზღვრულია (ერთ კლასში არა უმეტეს 24 შეგირდისა). მეცადინეობის დასაწყისი სკოლაში 24 სექტემბერს, კურსებზე 16 სექტემბერს. **მიხეილის პროს. № 53.** 562

**კომერციულ ცოდნათა კურსებზე ტ. მ. ფილოიანისა** ახალი მეთოდით ასწავლიან **ფრანგულის, გერმანულის** და **ინგლისურ** ენათა თავისუფალ კითხვას, წერას და ლაპარაკს სულ მოკლე დროში თეორეტიულისა და პრაქტიკული მეცადინეობის საშუალებით. დაწვრილებითი ცნობების მიღება კურსების კანცელარიაში შეიძლება დილის 10—12 ს. და საღამოს 4—7 საათ. მიხეილის პროსპ. № 24, ტელეფონი № 976. 1458

**მუდამ დღე მოგვდის**
თევზის მრეწველნი
**ძმ.**
**ძმველოვები.**
**ახალ-ახალი**
**მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.**
**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა ქვიშკა**
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჟიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**
**ტელეფონი № 7:2.**

**ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება**
**ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარათაშვილის ლექსები . . . | 40 კ. | ორბელიანი გრ. ლექსები, . . | 20 „ |
| ბაჩანა. დიაკვნიანი . . . . | 20 „ | „ ვახტანგი, . . | 60 „ |
| ბესიკი. ლექსები, სიტყ.-კაზ. გამოც | 1 მ. | „ ნინო, . . | 30 „ |
| განდეგილი. ლექსები, . . . | 50 „ | რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა ერეკლე მეფისა, . . | 15 „ |
| გრიშაშვილი ოცნების კოცნა, . | 10 „ | სილოვანი. ჩემი აზრი და ფიქრები № 1, | 20 „ |
| გურამიშვილი. დავითიანი, . . | 1 მ. | „ ცხოვრ. სურათები, № 2, | 20 „ |
| დუტუ მეგრელი, . . . . | 70 „ | „ აღსარება, № 3, . . | 5 „ |
| „ მწარე ფიქრები, . | 20 „ | „ ლექსები 1879—1891 | 50 „ |
| ევდოშვილი. . . . . | 60 „ | „ სიმები, . . . | 5 „ |
| ერისთავი რაფ., ტ. 1-ლი, . . | 1 მ. | ქართ. პოეტ. რჩეულ. ლექსები, . | 25 „ |
| „ ტ. 2-ე, . . . | 40 „ | ჩიხრუხაძე. ქნარი, . . . | 20 „ |
| ვეფხის ტყაოსანი, . . . | 60 „ | შანშიაშვილი. შვების თავადი, . | 60 „ |
| ვაჟა-ფშაველა, . . . . | 1 მ. | „ ქება-ქებათა და სულამიტ. | 10 „ |
| „ ახუნდი, . . . . | 5 „ | ცის-სარტყელა, სალიტ. კრებული, | 15 „ |
| „ ბახტრიონი, . . . | 20 „ | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

**ს ო რ ა პ ა ნ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა**
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად, მეოთხე ახალი გამოცემა, სახელმძღვანელო წიგნი, ნაწილი პირველი.
**„ქართველი მწერლები“**
შედგენილი ივ. გომელაურის მიერ. ფასი 80 კაპ.
ამ წიგნის მეორე გამოცემა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებლებში სახმარებლად ნება-დართულია.
იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მეორე ნაწილი სახელმძღვანელო წიგნი **„ქართველი მწერლები“** ფ. 1 მან. 30 კაპ.
პარტიობით მყიდველებს შეუძლიანთ მოითხოვონ შემდეგი მისამართით: Тифлисъ Типографія „Сорапань“, ანუ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას ქ. ტფილისში. 1417

**თ. ა. მთავრიშვილის**
**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი
**სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,**
რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებელში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**
მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, სახატავი დავთრები** და სხვა, რასაც ძალიან დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით **ბ-ნ გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.** 1413

**„ტფილის. ქართული საამხანაგო მომღერალ მგალობელთა გუნდი“**
(შედგენილი და დაარსებული 1910 წ).
**მ ი ხ ე ი ლ კ ა ვ ს ა ძ ი ს**
**ლოტბარობით,**
რომელიც შემდგარია 25—50 კაცისაგან საკუთარ ქულაჯებით და გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი, აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ გუნდი 1 ენკენისთვიდან განაგრძობს მოქმედებას, ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ და ევროპიულ სიმღერებს, „სოლო“-ებს, „დუეტ“-ებს, „ტრიო“-ებს, ქართლ-კახურ ეკლესიურ გალობას **„ოქროპირის წირვას“**; იღებს მონაწილეობას კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე, წარმოდგენებზე, სასიმღერო პიესებში და სხვაგან, როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდი ასრულებს აგრეთვე პატარ-პატარა სცენებს სიმღერებით სოფლის ცხოვრებიდან და სხვა. კვირა-უქმე დღეებში გუნდი **გალობს ანჩისხატისა და კალოუბნის** ეკლესიებში. გუნდის მიწვევა და ახალ მომღერლების მიღება იკითხეთ **მიხეილ კავსაძესთან.** 1447

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**
**საბუჰგალტრო კურსები**
**ნ. ვ. აბრაამიანისა**
(დაარსებულია 1895 წ.)
„სავაჭრო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.
ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება **კურსებზე სწავლა 4 თვე გაძელდება.**
მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბირს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუჰგალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანითბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.
**ატესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.
კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე. და საღამოს 5—7 საათამდე.
კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.
პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1433.

**ცინკოგრაფია** წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ **კლიშეების დამზადებას**
**საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.**
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12
1009

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
**ბუჰგალტერიის პრაქტიკული კურსები**
**ი. თ. პალატნიკოვისა.**
თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერვა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღჰალტერიისა და კორესპონ. სამუშაოდ. კურსებზე შესულსაფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ. და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: საზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორეს.., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ საწერ მანქანაზე. 9) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) **უცხო ენები:** ფრანგ და გერმან.. 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანეზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღჰალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

**საბუჰგალტერიო და საკანცელარიო ცოდნათა კ უ რ ს ე ბ ი,**
**არსებული ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებელთან ორივე სქესისათვის** (მე-XIV წ. არს. შემ.).
კურსებზე ასწავლიან: ბუჰგალტერიას ორმაგ იტალიურ სისტემით, მრეწველობის სხვა დ სხვა ნაწილის შესაფერისად; კომერციულ კორესპონდენციას, სავაჭრო უფლებას, კალიგრაფისა დ მსურველთ საბეჭდ მანქანებზე ბეჭვდას, **სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს 1913 წ.** სწავლა გაგრძელდება არა ნაკლებ ექვსი თვისა. მეცადინეობა კვირაში სამჯერ იქნება, საღამოობით. **სწავლის ფასი სულ 40 მან.** თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებელის დირექტორის სახელზედ მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 ს.—1 საათამდე. 1420

**საბუჰგალტრო კურსები**
**გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა**
ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის**
**„პატოკსან“.**
**„პატოკსან“** შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.
**„პატოკსან“** საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.
**„პატოკსან“** ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.
**„პატოკსან“** ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
**„პატოკსან“** ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.
**„პატოკსან“** თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.
ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. ტელეგრ. მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.